ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №1703334

ნომერი: AR1275552

თარიღი : 25.12.2014

გაცემის თარიღი : 27.01.2015

გაცნობის თარიღი : 28.01.2015

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , სოფელი დიღომი ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ლაშა გრიგალავა პ/ნ 29001007787
- თბილისი თემქა XI მ/რ I კვ. კორ. 3 ბ. 72

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მერიის სსიპ - თბილისის არქიტექტურის სამსახურის 22.08.2014წ. №1446329 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 25/12/2014წ.

AR1275552 განაცხადით მომართა ლაშა გრიგალავამ და მოითხოვა ამავე სამსახურის 22.08.2014წ. №1446329 ბრძანების ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში ცვლილების შეტანა.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის თანახმად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ 22.08.2014წ. №1446329 ბრძანებით, ქ. თბილისში, სოფელ დიღომში, შპს „ლაგი ჯგუფის“ კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი N01.72.14.034.140), შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2014 წლის 22 აგვისტოდან 2016 წლის 22 აგვისტოს ჩათვლით. დამკვეთად დაფიქსირდა შპს "ლაგი ჯგუფი".

განმცხადებლის განმარტებით, საპროექტო დოკუმენტაციაში არასწორად იქნა მითითებული ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები, რაც შესაბამისად აისახა სამსახურის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში.

აღნიშნულიდან გამომდინარე, დღეისათვის, სამსახურს მომართავს დამკვეთის – შპს "ლაგი ჯგუფის" ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი – დირექტორი ლაშა გრიგალავა და ითხოვს შევიდეს ცვლილება სამსახურის 22.08.2014წ. №1446329 ბრძანებაში და დაფიქსირდეს: საერთო ფართობი (კვ.მ).: 5158.1, საზაფხულო ფართობი (კვ.მ).: 656.2, სადარბაზოსა და კიბის უჯრედის ფართობი (კვ.მ).: 613.8, სხვა მაჩვენებლები დარჩეს უცვლელი.

სამსახურმა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი შეცვლილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები შეადარა შეთანხმებული კორექტირებული არქიტექტურული პროექტის გეგმა–ნახაზებს და მიზანშეწონილად მიიჩნია მოთხოვნის დაკმაყოფილება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტარციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

ამდენად, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში ცვლილების შეტანის თაობაზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. შევიდეს ცვლილება ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 22.08.2014წ. №1446329 ბრძანებაში და ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაფიქსირდეს: საერთო ფართობი (კვ.მ).: 5158.1, საზაფხულო ფართობი (კვ.მ).: 656.2, სადარბაზოსა და კიბის უჯრედის ფართობი (კვ.მ).: 613.8, სხვა მაჩვენებლები დარჩეს უცვლელი.

2. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქალაქ თბილისის მერიის სსიპ - თბილისის არქიტექტურის სამსახურის 22.08.2014წ. №1446329 ბრძანებასთან ერთად.

3. წინამდებარე ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლოს ხეივანი, მე–12 კილომეტრი, №6), მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.